ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №172308

ნომერი: AR149371

თარიღი : 08.05.2012

გაცემის თარიღი : 18.05.2012

გაცნობის თარიღი : 25.05.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაჩაბელი , N 1/ლეონიძის (კიროვის) N6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან რუხაძე პ/ნ 01019008985
- თბილისი ც.დადიანის ქ. II მ/რ კორ. 3 ბ. 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  დემონტაჟი

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს -

გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ”ა” ქვეპუნქტის შესაბამისად განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებულ სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს, რომლის დასკვნის საფუძველზეც მოქ. ქეთევან რუხაძეს უარი ეთქვა წარმოდგენილ საპროექტო წინადადებას. სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია რომ განმცხადებელს, მოქ. ქეთევან რუხაძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქ. ქეთევან რუხაძეს წარმოდგენილი პროექტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.